

გარემოსდაცვითი მართვის გეგმა

თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის (II მონაკვეთი) ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების განხორციელება

შესავალი

თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაციის პროექტი (მეორე მონაკვეთი) განხორციელდა მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (SUTIP) მე-3 ტრანშის ფარგლებში. მეორე მონაკვეთი დაიწყო სამ ფაზად. პირველი ფაზის სამუშაოები დასრულებულია. ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობის გამო საქართველოს მთავრობის განკარგულებით მოხდა მეორე და მესამე ფაზების ნაწილის ამოღება პროექტიდან. აღნიშნულმა განაპირობა გარკვეული პრობლემების წარმოქმნა უკვე დაწყებულ სამუშაოებთან და გარკვეული ადგილების აღდგენასთან მიმართებაში. მუნიციპალური განვითარების ფონდისა (მგფ) და დონორის - აზიის განვითარების ბანკის (აგბ) მიერ განისაზღვრა ორი შემდეგი პრობლემა:

- ადგილზე დაყრილი ყრილის (დამუშავებული კლდის რეზერვი) მოსწორებასთან და
- მტკვრის კალაპოტში აშენებული საყრდენი კედლის საძირკველთან დაკავშირებული სამუშაოები.

მგფ-სა და აგბ-ს შორის გამართული მრავალრიცხოვანი კონსულტაციების შემდეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ მგფ მიიღებდა ზომებს აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, მგფ გეგმავს დაახლოებით 1,100,000 ლარის ღირებულების სამშენებლო ტენდერის გამოცხადებას 2021 წ. მესამე კვარტალში შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

- ადგილზე დაყრილი ყრილის (დამუშავებული კლდის რეზერვის) გაშლა-მოსწორება, ბალახის დათესვა და შემოღობვა, უსაფრთხოების მიზნით;
- მტკვრის კალაპოტში აშენებული საყრდენი კედლის საძირკველთან დაკავშირებული სამუშაოები.

გარემოს დაცვის მართვის გეგმის (EMP) მომზადების მიზანია გადაწყვიტოს ნაკლებად მნიშვნელოვანი და ძირითად მშენებლობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების საკითხები, რომლებიც შემოთავაზებული პროექტის განხორციელებას უკავშირდება. EMP წარმოადგენს საუკეთესო საწარმოო პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს გარემოსდაცვითი საკითხების მდგრადი მართვის მიზნით. წინამდებარე EMP თან დაერთვება პროექტის ფარგლებში გაფორმებულ ყველა ხელშეკრულების ზოგად პირობებს.

საბაზისო ინფორმაცია

„თბილისი-წითელი ხიდის“ საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაცია წარმოადგენს საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს. პროექტის განხორციელება მიმდინარეობდა მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის (SUTIP) მესამე ტრანშის ფარგლებში.

საინვესტიციო პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება ურბანული გარემოს, ადგილობრივი ეკონომიკის და ურბანული ტერიტორიების ფარგლებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა, დასაქმების შესაძლებლობების შექმნა და გარემოსდაცვითი მდგრადობის გაუმჯობესება. მოსალოდნელი შედეგია საქართველოს შესაბამის

ქალაქებში ურბანული სატრანსპორტო სერვისების ეფექტიანობის, სანდოობის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

თბილისი-რუსთავის გზა ემსახურება თბილისის, რუსთავისა და ქვემო ქართლის მოსახლეობას, ასევე აზერბაიჯანის მიმართულებით ადამიანებისა და ტვირთების მოძრაობას და გადაყვანა/გადატანას. მოდერნიზაციის განხორციელებამდე, გზის ამ მონაკვეთზე ყოველდღიურად დაახლოებით 17 000 სატრანსპორტო საშუალება გადაადგილდებოდა, რაც ორჯერ აღემატება გზის საპროექტო დატვირთვის მაჩვენებელს. არსებული გზის ტექნიკური პარამეტრები ვერ აკმაყოფილებდა უსაფრთხოების მოთხოვნებს, ხშირი იყო ავტოავარიები, დიდი იყო დაშავებულთა რაოდენობა. მუდმივი საცობები დისკომფორტს უქმნიდა მოსახლეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისი-რუსთავის გზის მოდერნიზაციის პროექტის განხორციელების შესახებ.

პროექტის განხორციელება დააფინანსა აზიის განვითარების ბანკმა და საქართველოს მთავრობამ. პროექტის განმახორციელებელ სააგენტოდ განისაზღვრა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. თბილისი-რუსთავის ურბანული გზის პროექტირება განხორციელდა თბილისისა და რუსთავს შორის არსებული 17,4 კმ სიგრძის გზის განახლების მიზნით, რაც მოიცავდა აღნიშნული გზის ცალმხრივი მოძრაობის მაგისტრალად გარდაქმნას, თითო მიმართულებაზე ორი (სამი) საგზაო ზოლის მოწყობით.

ობიექტის სირთულის გათვალისწინებით, საპროექტო ტრასა გაიყო სამ მონაკვეთად, საიდანაც პირველ ეტაპზე განხორციელდა პირველი და მესამე მონაკვეთების მშენებლობა.

პროექტი ს დასახელებ ება	2655-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაცია
დამკვეთ ი	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
დონორი	აზიის განვითარების ბანკი
განხორცი ელების პერიოდი	2012 წ. 23 იანვარი ~ 2020 წ. 31 დეკემბერი (სულ)
საკონსუ ლტაციო კომპანი ს კონტრაქ ტის ღირებუ ლება	8,437,990.87 აშშ დოლარი
პროექტი ს	1 & 3 მონაკვეთების მშენებლობის ღირებულება: 95,123,869.50 ლარი

ღირებულება:	მე-2 მონაკვეთის მშენებლობის ღირებულება: 88,899,114.00 ლარი				
პროექტის მოკლე აღწერა					
მონაკვეთი	ადგილმდებარეობა	სამუშაოების მოცულობა	საპროექტო სიჩქარე	სიგანე	საგზაო საფარის ტიპი
სულ	თბილისი ~ რუსთავი	ჯამური სიგრძე = 30.17 კმ ^{1*}	40~120 კმ/სთ	4~6 ზოლი	-
1	თბილისი ~ ფონიჭალა	1. ძირითადი გზა (სიგრძე = 4.0 კმ) 2. დაქანებული გზა (ავტომაგისტრალზე შესასვლელად, ან გამოსასვლელად) (სიგრძე = 1.74 კმ, 2 ზოლი)	40~120 კმ/სთ	34.5 მ (6 ზოლი)	ასფალტო ბეტონის საფარი
2	ფონიჭალა	1. ძირითადი გზა ² (სიგრძე=3,6 კმ) 2. დაქანებული გზა (ავტომაგისტრალზე შესასვლელად, ან გამოსასვლელად) (სიგრძე=1.03 კმ, 1 ზოლი)	40~120 კმ/სთ	28.5~ 34.5 მ (4~6 ზოლი)	ასფალტო ბეტონის საფარი
3	ფონიჭალა ~ რუსთავი	1. ძირითადი გზა (სიგრძე = 6.6 კმ) 2. დაქანებული გზა (ავტომაგისტრალზე შესასვლელად, ან გამოსასვლელად) (სიგრძე = 8.0 კმ, 2 ზოლი) 3. მეორადი მნიშვნელობის გზა (სიგრძე=4.3კმ)	40~120 კმ/სთ	28.5 მ (4 ზოლი)	ბეტონის საფარი
◦ ძირითადი ობიექტები - ხიდი (წინასწარ დამატებული რკინა-ბეტონის ხიდი)					
№	ადგილმდებარეობა	სიგრძე (მ)	სიგანე (მ)	შენიშვნა	
1	კვ 21+80.0	2@33=66	15.84	მონაკვეთი 1	

¹ პირველადი პროექტის თანახმად, (მონაკვეთების პროექტიდან ამოღებამდე), ჯამური სიგრძე იყო 33,37 კმ, .

² პირველადი პროექტის თანახმად, (მონაკვეთების პროექტიდან ამოღებამდე), მეორე მონაკვეთის ჯამური სიგრძე იყო 6,8 კმ.

2	პკ. 35+00.0	33	33.64	მონაკვეთი 1
3	პკ. 36+16.5	33	33.64	მონაკვეთი 1
4	პკ. 74+96.0	33	29.74	მონაკვეთი 2 ³
5	პკ. 98+24.0	33	28.04	მონაკვეთი 2
6	პკ.125+48.5	33	33.64	მონაკვეთი 3
7	პკ. 128+10.0	33	33.64	მონაკვეთი 3
8	პკ. 167+50.0	4@33=132	19.84	მონაკვეთი 3

- ხიდი ფეხით მოსიარულეთათვის (წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის ხიდი)

№	ადგილმდებარეობა	სიგრძე (მ)	სიგანე (მ)	შენიშვნა
1	პკ. 58+00.0	2@19=38	3.3	მონაკვეთი 2 ⁴
2	პკ. 61+20.0	2@19=38	3.3	მონაკვეთი 2
3	პკ. 69+00.0	2@19=38	3.3	მონაკვეთი 2 ⁵
4	პკ. 84+40.0	2@27=54	3.3	მონაკვეთი 2
5	პკ. 88+20.0	2@27=54	3.3	მონაკვეთი 2
6	პკ. 94+40.0	2@27=54	3.3	მონაკვეთი 2
7	პკ.114+53.5	2@27=54	3.3	მონაკვეთი 3
8	პკ. 139+38.8	2@27=54	3.3	მონაკვეთი 3
9	პკ. 161+10.0	2@27=54	3.3	მონაკვეთი 3

- სატრანსპორტო კვანძი

№	ადგილმდებარეობა	სატრანსპორტო კვანძის ტიპი	შენიშვნები
1	პკ. 21+80.0	მიმართულებითი სატრანსპორტო კვანძი	მონაკვეთი 1
2	პკ. 47+00.0	რომბისებრი	მონაკვეთი 2 ⁶
3	პკ. 99+00.0	რომბისებრი	მონაკვეთი 2
4	პკ.128+10.0	რომბისებრი	მონაკვეთი 3
5	პკ. 145+58.5	მილისებრი	მონაკვეთი 3
6	პკ. 167+50.0	მილისებრი	მონაკვეთი 3

- გვირაბი

³ დაპროექტდა, მაგრამ არ აშენებულა.

⁴ დაპროექტდა, მაგრამ არ აშენებულა.

⁵ დაპროექტდა, მაგრამ არ აშენებულა.

⁶ დაპროექტდა, მაგრამ არ აშენებულა.

№	ადგილმდებარეობა	სიგრძე (მ)	სიგანე (მ)	შენიშვნები
1	პკ. 45+80.0	420	27.4	მონაკვეთი 2
2	პკ.49+75.0	10	35.1	მონაკვეთი 2

მეორე მონაკვეთის პროექტი მოიცავს ფონიჭალის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას 6,8 კმ სიგრძით. ამ მონაკვეთზე იგეგმებოდა მდ. მტკვრის გასწვრივ ურბანული ტიპის ახალი გზის მშენებლობა დაახლოებით 2,0 კმ-ს სიგრძეზე. გზის განივი კვეთი 4 ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ. გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: 2 სატრანსპორტო კვანძი, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ორი სატრანსპორტო ხიდი და ექვსი საფეხმავლო ხიდი. პროექტირების ეტაპზე შემუშავდა და განხილულ იქნა საგზაო ტრასის პროექტირების რამდენიმე ვარიანტი. საბოლოოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ და განსახლების საკითხთა ერთობლიობის გათვალისწინებით, ალტერნატივებს შორის შეირჩა და განსახორციელებლად დამტკიცდა ის ვარიანტი, რომელიც ტექნიკურად განხორციელებადია, მაქსიმალურად უვლის გვერდს ფონიჭალის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ნაწილს და ითვალისწინებს ახალი ურბანული ტიპის კეთილმოწყობილი გზის მშენებლობას მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ.

პროექტის განხორციელების დროს მოხდა პროექტის არსებითი გაუმჯობესება გზის (მოცემული) მონაკვეთის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახებსა და ბიზნესებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით.

გზის მეორე მონაკვეთი დაიყო სამ სამშენებლო ფაზად (გამოსახულება 1):

- პირველი ფაზა 4+00 კმ – 5+100 კმ; 8+600 კმ - 10+800 კმ.
- მეორე ფაზა: 5+100 კმ-6+900 კმ, და
- მესამე ფაზა: 6+900 კმ - 8+600 კმ.


დღეის მდგომარეობით, ახალი გზის 3.6 კმ-ზე (6.8 კმ-დან) ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია - აგბ-ს ფინანსური მხარდაჭერით. გზის დარჩენილი 3,2 კმ მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს, მგფ-ს მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან წარმოებული ფართო-მასშტაბიანი კონსულტაციების მიუხედავად, რომლებიც პროექტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოგვარებას ისახავდა მიზნად.

დაიგეგმა ადგილობრივ მოსახლეობაზე გზის ზემოქმედების შემცირებისთვის დამატებითი ღონისძიებები და გარკვეული შემარბილებელი ზომები. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გამოხატეს წინააღმდეგობა ზემოთხსენებულ შემარბილებელ ზომებთან და სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებასთან დაკავშირებით, ამიტომ, საქართველოს მთავრობის 2019 წ. 15 მაისის №494 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა, რომ მიემართა აგბ-სთვის, რათა ამ უკანასკნელს ამოეღო მე-2 და მე-3 ფაზები თბილისი-რუსთავის ურბანული გზის (მე-2 მონაკვეთის) პროექტიდან.

საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 10 მაისის გამოსცა განკარგულება N1044, (პროექტიდან) მე-2 და მე-3 ფაზების ამოღების თაობაზე. მგფ-მა მოამზადა ცვლილების ბრძანება კონტრაქტორისათვის, მე-2 და მე-3 ფაზების ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების სამშენებლო კონტრაქტიდან ამოღების თაობაზე. გაფორმდა


შესაბამისი ცვლილება და შესაბამისად, კონტრაქტის ღირებულება 118,9 მილიონი ლარიდან შემცირდა 88,9 მილიონ ლარამდე.

გამოსახულება 1




მე-2 და მე-3 ფაზების ამოღების შემდეგ, თბილისი-რუსთავის გზის (ფაზა 1) დასრულებული მონაკვეთი დაუკავშირდა ფონიჭალის დასახლებაში არსებული გზის 3 კმ-იან მონაკვეთს. ახალი გზის არსებულთან დაკავშირება განხორციელდა ორ ადგილზე: საგზაო კვანძი: კმ 4+780, გამყოფ მონაკვეთზე - მარნეულის გზიდან – თბილისის მხარეს (გამოსახულება 2), და კმ 8+100-ზე არსებულ გზაზე ფონიჭალის დასახლებაში – რუსთავის მხარეს (გამოსახულება 3). ამჟამად მოძრაობა გახსნილია და პროექტის მიზანი მოცემულ ეტაპზე მიღწეულია.

გამოსახულება 2



გამოსახულება 3



1 ფაზის დასრულების და მე-2 და მე-3 ფაზების ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მგფ და აგბ შეთანხმდნენ გარკვეული დარჩენილი საკითხების, მათ შორის, უკვე დაწყებული სამუშაოების, ნარჩენების გატანის და გარკვეული ადგილების საწყისი მდგომარეობის აღდგენისთვის საჭირო სამუშაოების შესრულებაზე. 2019 წ. მაისში მომზადდა კომპლექსური კვლევის ანგარიში, დარჩენილი სამუშაოების შესრულების და გადასაწყვეტი საკითხების მოგვარების მიზნით. კომპლექსური კვლევის ანგარიში მოიცავს სამ ძირითად საკითხს:

- 28 ა შენობის გვერდით, ადგილზე დაყრილი ყრილის (დამუშავებული კლდის რეზერვის) მოსწორება;
- მდ. მტკვრის კალაპოტის საწყის მდგომარეობაში მოყვანა;
- მდინარის კალაპოტში აშენებული საყრდენი კედლის საძირკველთან დაკავშირებული სამუშაოები.

A. 28 ა შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყრილი ყრილის (დამუშავებული კლდის რეზერვის) მოსწორება

ამოღებული გრუნტის დროებითი დასაწყობების ობიექტი კვ 6+900-7+140-ზე (ფოტო 1) უნდა იყოს უსაფრთხო, უნდა მოხდეს მისი მოწესრიგება, ნიადაგით დაფარვა და ბალახის ხელახალი დათესვა.

საპროექტო მიწის გამოყენება შესაძლებელი იქნება მასალების შემდგომი დასაწყობების მიზნით (ამ შემთხვევაში, დასაწყობებულ გრუნტს ეწოდება ინერტული/ჭარბი სამშენებლო მასალა და არა სამშენებლო ნარჩენები).

ფოტო 1



B. მდ. მტკვრის კალაპოტის საწყის მდგომარეობაში მოყვანა

პროექტირების ეტაპზე დასრულდა მდინარის ეკოლოგიის და ზემოქმედების შეფასების კვლევა. (აღნიშნული კვლევა) მიზნად ისახავდა მდინარის ეკოლოგიური მგრძობელობის შესწავლას - პროექტთან მიმართებაში, ზემოქმედების მასშტაბის შეფასებას და სავარაუდო შემარბილებელი ზომების შემოთავაზებას.

ანგარიშის თანახმად, პროექტის ზემოქმედებას მდინარე მტკვრის ეკოსისტემაზე ექნება უმნიშვნელო ხასიათი. ბუნებრივ ჰაბიტატზე უმნიშვნელო ნარჩენი ზემოქმედების შესარბილებლად, აუცილებელია ჰაბიტატის აღდგენა - მდინარის ნაპირების გასწვრივ. მშენებლობის დაწყების შემდეგ, საჭირო გახდა საფუძვლიანი მონიტორინგის განხორციელება, გარემოს მართვის გეგმით (EMP) გაწერილი და მდინარის ეკოლოგიური ანგარიშით გათვალისწინებული შერბილების უზრუნველყოფის მიზნით.

პროექტირების ეტაპზე განხორციელებული მდ. მტკვრის ჰიდროლოგიური ანალიზის დასკვნის თანახმად, 1700 მ სიგრძის საყრდენი კედლის მშენებლობის შემთხვევაში, მდინარის კალაპოტზე და მის ბუნებრივ დინებაზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს საყრდენი კედლის აშენებული ნაწილი, რომლის სიგრძეც მხოლოდ 60 მ შეადგენს. კონსტრუქციის აღნიშნული ნაწილი არ აფერხებს ნაკადის დინებას, რადგან ის მდინარის ნაპირთან ახლოს მდებარეობს.

მდინარის არსებულ ჰიდროლოგიურ ანალიზთან ერთად, საზედამხედველო კომპანია „დოჰვას“ მიერ დაქირავებულმა ჰიდროლოგიურმა ექსპერტმა განახორციელა შესაბამისი შემოწმება დამატებით, რათა დაედგინა, რომ აღნიშნული, ნაწილობრივ აშენებული საყრდენი კედელი არ მოახდენდა ზემოქმედებას მდინარე მტკვრის ბუნებრივ დინებაზე - როგორც სამშენებლო ტერიტორიაზე, ასევე უფრო ქვემოთ - რუსთავის მიმართულებით.

ექსპერტის დასკვნის თანახმად, მდინარე მტკვრის ტერიტორიაზე შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებს არ მოუდენია ზემოქმედება მდინარის მდგრადი კალაპოტის 80 მეტრიან სიგანეზე. შესაბამისად, არ მომხდარა მდინარის კალაპოტის მდგრადი სიგანის და მის კალაპოტში მიმდინარე პროცესების, თევზების მიგრაციის მარშრუტების და იმერსიის (ჩაძირვის) ადგილების შეწყობა. ამასთან, პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის აქტიურ ინტერვენციას მდინარეში, შესაბამისად, მდინარის კალაპოტის მორფოლოგია მდინარე მტკვრის ქვემო მონაკვეთზე (რუსთავის მიმართულება) შენარჩუნებული და ხელშეუხებელია (იხ. დანართი 1 - ჰიდროლოგიის დასკვნა). (წყალგაუმტარი) ზღუდარი გადარეცხილია (ეროზირებულია) გაზაფხულის პიკური ნაკადებით და ნაკადი მდინარის ფარგლებში აღდგენილია - ბოლო ორი წლის განმავლობაში.

C. მდინარის კალაპოტში აშენებული საყრდენი კედლის საძირკველი

საყრდენი კედლის სამი მონაკვეთის (20მ/მონაკვეთი) საძირკველი, კმ 5+800-კმ6+600-ზე არმატურის მოწყობის ჩათვლით, აშენდა 2019 წელს, როდესაც წყლის დონე იყო დაბალი, თუმცა, საყრდენი კედლის ძირითადი ნაწილი არ დაბეტონებულა, რადგან სამუშაოები შეჩერდა და შემდგომ ამოღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. შედეგად, მდინარეში დღეს ვხედავთ არმატურის ღეროების გრძელი მონაკვეთის შვერილს (ფოტო 2).



დასკვნის თანახმად, საყრდენი კედლის საძირკველის ნაწილობრივ მშენებლობას მდინარის ბუნებრივ ნაკადზე ზემოქმედება არ მოუხდენია, შესაბამისად, რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული მშენებლობის უსაფრთხოება.

თბილისი-რუსთავის გზა-მონაკვეთი 2-ის კომპლექსური შემოწმების ანგარიშის პროექტისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების სია მოცემულია ქვემოთ:

1. ნარჩენების მართვა;
2. საწვავისა და აალებადი პროდუქციის მართვა;
3. წყლის რესურსების მართვა;
4. ჰაერის ხარისხის მართვა (ჰიდროლოგია);
5. ხმაურის და ვიბრაციის მართვა;
6. საგზაო ტრანსპორტისა და მოძრაობის მართვა;
7. ბიომრავალფეროვნება (მდინარის ეკოლოგია და სანაპირო ზოლის ჰაბიტატები);
8. სამშენებლო ბანაკის მართვა;
9. ყრილის (დამუშავებული კლდის რეზერვის) ტერიტორიის აღდგენა;
10. პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
11. საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
12. მისასვლელი.

1) ნარჩენების მართვა

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
ჩვეულებრივი ნარჩენები	<p>ნიადაგისა და წყლის დაბინძურება, რომელიც გამოწვეულია ნარჩენების არასწორი მართვითა და სამშენებლო ობიექტებზე წარმოქმნილი ჭარბი მასალებით.</p>	<p>კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს მშენებლობის დროს წარმოქმნილი ნარჩენების განკარგვის ორგანიზება ეკოლოგიური თვალსაზრისით მისაღები გზით.</p> <ul style="list-style-type: none"> • აღნიშნული მოიცავს ისეთი ნაგავსაყრელის ტიპისა და ადგილმდებარეობის შერჩევას, რომელიც გარემოს ნაკლებად დააზარალებს. • ნარჩენების შემცირება 3R მიდგომის გამოყენებით (შემცირება, გადამუშავება და ხელახალი გამოყენება) • ნარჩენების სათანადო განთავსება, მაქსიმალური გამოყენება, ხელახალი გამოყენება (რეციკულაცია) და გამოუსადეგარი ნარჩენების დროულად გატანა შეთანხმებულ ადგილას, ნარჩენების მართვის ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. • შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა ნარჩენის დახარისხება, ხელახალი გამოყენება და ან გადამუშავება. • მყარი ნარჩენების დაწვის აკრძალვა • არასახიფათო ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება ყველა ნებადართულ ნაგავსაყრელზე. ნარჩენების განთავსების ადგილები უნდა შეთანხმდეს ხელისუფლებასთან. სპეციალურ კომპანიასთან გაფორმდება ხელშეკრულება ბანაკებიდან და დროებითი განთავსების ადგილებიდან საყოფაცხოვრებო და ჩვეულებრივი ნარჩენების შეგროვებისა და ნაგავსაყრელზე გადაზიდვის უზრუნველსაყოფად. • მყარი ნარჩენების გადამზიდავი მანქანები გადაფარული უნდა იყოს ბრეზენტით ან ბადეებით, რათა თავიდან იქნას 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

		<p>აცილებული ნამსხვრევების მარშრუტის გასწვრივ ცვენა</p> <ul style="list-style-type: none"> • ნარჩენებთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფო კანონის დაცვა. • პერსონალის ტრენინგი რეგულარულად, ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. • სანაგვე ურნების და შესაბამისი მოწყობილობების უზრუნველყოფა საპროექტო ტერიტორიაზე, მყარი საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის. • ნარჩენების შემნახავი კონტეინერები იქნება დახურული, ამინდმედეგი (ჰერმეტიზებული) და ნაგვის მქეპავების გან დაცული. 		
სახიფათო ნარჩენები	საფრთხე ჯანმრთელობისათვის და გარემოს დაზიანება, რაც გამოწვეული ნარჩენების არასწორი მართვით	<p>კონტრაქტორი ვალდებულია</p> <ul style="list-style-type: none"> • დააგოს ბეტონის ან სხვა სახის გაუმტარი იატაკი, რომ არ მოხდეს ინფილტრაცია დაღვრის შემთხვევაში • უზრუნველყოს ნარჩენებთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფო კანონის დაცვა, მათ შორის, სამთავრობო ორგანოებისათვის ნარჩენების ინვენტარიზაციისა და ნარჩენების მართვის გეგმის მიწოდება. • აკრძალოს დაზიანებული კონტეინერების გამოყენება. კონტეინერების დაუზიანებლობის შემოწმება უნდა მოხდეს რეგულარულად. • უზრუნველყოს კონტეინერების ადეკვატური მონიშვნა - ნარჩენების ტიპების დაზუსტებით. • უზრუნველყოს თხევადი სახიფათო ნარჩენების მეორადი შეკავება (ლოკალიზაცია). • დაიქირავოს სახელმწიფო ავტორიზაციის მქონე კონტრაქტორი, სახიფათო ნარჩენების გატანის და სახიფათო ნარჩენების მმართველი კომპანიის მოქმედ პერსონალთან შეთანხმებების გაგრძელების მიზნით. • საპროექტო ტერიტორიაზე არსებული და აღნიშნული ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების აღრიცხვა. 		

2) საწვავისა და საშიში პროდუქციის მართვა

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
საწვავი და სახიფათო საქონელი	მშენებლობაში გამოყენებული მასალები შეიძლება იყოს დაბინძურების წყარო. საწვავის, საპოხი მასალების, ქიმიკატებისა და სახიფათო საქონლის / მასალების არასათანადო შენახვამ და დამუშავებამ, ასევე ამ საქონლის დაღვრის შესაძლებლობამ, შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს ან მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობას.	კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს: <ul style="list-style-type: none"> • საშიში პროდუქციის გაჟონვისგან დაცულ ადგილზე, ჰერმეტიკულ პლასტმასის ფურცელზე განთავსება, წყლის არხებიდან მინიმუმ 100 მ დაშორებით. • სამუშაო ტერიტორიაზე საწვავის შევსების ყველა ოპერაციისას აბსორბენტი ნაჭრების და/ან ჩალის გამოყენება დაღვრის შესამცირებლად, რომელიც ადგილზე საწვავის შევსებამდე უნდა მოთავსდეს. • მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკის შემცირება ან აღმოფხვრა შესაძლებელია დაბინძურებული ნიადაგის დაუყოვნებლივ მოხსნით. • დაბინძურებული ნიადაგი და აბსორბენტები მოიხსნება, შეინახება და დამუშავდება, როგორც საშიში ნარჩენები. • მნიშვნელოვანი დაღვრის შესახებ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ და პასუხისმგებელ პირს და სამუშაო შეჩერდეს, დაბინძურების რისკის აღმოფხვრამდე. • საწვავის შევსება ყოველთვის განხორციელდება შესაფერისი აღჭურვილობის (მაგალითად, შესაბამისი ზომის ინჟექტორები) გამოყენებით და მხოლოდ სათანადოდ გაწვთნილი და გამოცდილი საწვავის ოპერატორების მიერ. • მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალისთვის გამოყენებული მასალებისთვის შესაფერისი დამცავი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ჩაფხუტების, ნიღბების, ხელთათმანების, სათვალეების მიწოდება. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ

3) წყლის რესურსების მართვა

პროექტით გათვალისწინებული	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
---------------------------	----------------------	-------------------------------------	---------------	-------------

საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო				
საშიში მასალები და წყალი	წყლის დაბინძურება გამოწვეული საშიში მასალებისა და ზოგადად სამშენებლო ნარჩენების შენახვით, დამუშავებით, განადგურებითა და შემთხვევითი დაღვრით	კონტრაქტორი ვალდებულია: <ul style="list-style-type: none"> • შეასრულოს ECP 1 და 2-ში შემოთავაზებული მართვის მითითებები. • შეამციროს ნალექების, ზეთებისა და საპოხების, ჭარბი ბიოგენების, ორგანული ნივთიერებების, ნაგვის, ნამსხვრევებისა და ნებისმიერი სახის ნარჩენების (განსაკუთრებით ნავთობისა და ქიმიური ნარჩენების) წარმოქმნა. ეს ნივთიერებები არ უნდა მოხდეს გამავალ წყალში, წვიმის წყლის სადრენაჟო სისტემებში ან მიწისქვეშა წყლებში. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ
ჩამონადენი სამშენებლო უბნიდან	მშენებლობის დროს, სამშენებლო უბნიდან და სამუშაო ბანაკებიდან ჩამდინარე წყლებმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესება.	კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს: <ul style="list-style-type: none"> • საჭიროების შემთხვევაში, დროებითი სალექი ავზების მონტაჟი, ტერიტორიიდან ნალექის შემცველი ჩამონადენის დასაკავებლად. • მასალების დასაწყობება სადრენაჟო არხებიდან მოშორებით. • ყველა მყარი და თხევადი ნარჩენების წყალსადენებში შეღწევის პრევენცია, მყარი ნარჩენების, ზეთების, ქიმიკატების, ბიტუმის სპრეის ნარჩენებისა და აგურის, ბეტონისა და ასფალტის ჭრის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წყლის შეკრებით, სადაც ეს შესაძლებელია და მათი ტრანსპორტირებით ნარჩენების შესაკრებ ნებადართულ ადგილზე ან გადამამუშავებელ პუნქტში. • მზა ბეტონის სარეველებისა და ბეტონის დამუშავების მოწყობილობების რეცხვა ტერიტორიის გარეთ არსებულ გასარეცხ პუნქტებში ან ნებადართულ შემოღობილ ადგილებში. • სამშენებლო მანქანების საბურავების რეცხვა სპეციალურ სექციაში (რომელიც აიგება სამშენებლო მოედანზე შესასვლელში) ბორბლებიდან ჭუჭყის მოსაცილებლად. აღნიშნული უნდა განხორციელდეს ყველა სამშენებლო მანქანის ტერიტორიიდან გასვლისას. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ
მშენებლობის ზოგადი ზემოქმედება მდინარეზე		<ul style="list-style-type: none"> • დროებითი საწვავის ავზის საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ავზის განთავსება უნდა მოხდეს მდინარის კალაპოტიდან მინიმუმ 100 მეტრში. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ

		<ul style="list-style-type: none"> • ავზის განთავსება უნდა მოხდეს გადახურულ ზონაში, სადაც მოწყობილი იქნება ბერმები, ან დამბები, დაღვრის შეკავების მიზნით - დაღვრის შემთხვევაში. ნებისმიერი დაღვრა დაუყოვნებლივ უნდა დაექვემდებაროს ლოკალიზებას და უნდა გაიწმინდოს აბსორბენტი (შემწოვი) მასალით. • შეკეთება/ტექნიკური მომსახურება და საწვავით შევსება საპროექტო ტერიტორიაზე უნდა შეიზღუდოს. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ კომერციულ ობიექტებს. • ყველა მასალის განთავსება უნდა მოხდეს დატბორვის დონის ზემოთ. • მექანიზმების და სატრანსპორტო საშუალებების საწვავით შევსება/ტექნიკური სამუშაოები სასურველია არ განხორციელდეს მომიშვლებულ მიწაზე. შესაძლებელია მხოლოდ ლოკალიზებული ზონების გამოყენება. ტექნიკური სამუშაოების/საწვავით შევსების ზონები განათავსეთ (თუ დაგეგმილია აღნიშნული ობიექტების მოწყობა საპროექტო ტერიტორიაზე) წყლის ობიექტებისგან და ჭარბტენიანი ტერიტორიებიდან მოშორებით. სავალდებულოა მინიმუმ 100 მეტრიანი დისტანციის დაცვა. • მანძილი მდინარის კალაპოტიდან სამშენებლო მექანიზმების/სატრანსპორტო საშუალებების პარკამდე და სასაწყობე ზონებამდე, უნდა შეადგენდეს მინიმუმ 50 მეტრს. 		
ჩამდინარე წყლის დაცლა		<ul style="list-style-type: none"> • ნებისმიერი დაუმუშავებელი წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტში დაცლა მკაცრად იკრძალება. • დამუშავებული (გაწმენდილი) წყლის დაცლა უნდა მოხდეს 3.6.2 ნაწილში მითითებული წყლის ხარისხის სტანდარტების შესაბამისად: ჩამდინარე წყლის დაცლა, მათ შორის, საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) სტანდარტები ჩამდინარე წყლების დაცლასთან მიმართებაში, ასევე ეროვნული სტანდარტები. • მობილური საპირფარეშოები სამუშაოების წარმოების ყველა ადგილზე (ობიექტზე). 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ
ყრილები და გადმოსული წყალი		<ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მასალების და ნარჩენების ყრილის სახით 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

		<p>განთავსება, უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის და აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად, ეროზიისა და მდინარეში ჩარეცხვის თავიდან აცილების მიზნით.</p> <ul style="list-style-type: none"> • სადრენაჟე თხრილები უნდა მოეწყოს გადმოსული ზედაპირული წყლის ობიექტიდან მოცილების მიზნით. • დაღვრის გამწმენდი მასალების (მაგ. აბსორბენტი (შთანთქმელი) საგები და სხვ.) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადგილებზე, სადაც შესაძლოა მოხდეს დაღვრა შემთხვევით. 		
ნარჩენების მართვა და ტრენინგი		<ul style="list-style-type: none"> • კონტრაქტის გაფორმება ავტორიზებულ კომპანიასთან, სახიფათო ნარჩენების გატანის (გადაყრის) მიზნით. • სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი პერსონალის ტრენინგი ნიადაგის და წყლის დაცვის ღონისძიებების, საწვავის მართვის, დაღვრის კონტროლის და საპასუხო პროცედურებისა და მოთხოვნების შესახებ. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ

4) ჰაერის ხარისხის მართვა

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
სამშენებლო ავტომანქანების მოძრაობა	ჰაერის ხარისხზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ავტომობილის გამონაბოლქვმა აირებმა და საწვავის წვამ.	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მანქანები ამუშაოს სათბობის დამზოგველი მეთოდებით. • გადაფაროს მტვრის შემცველი მასალების (ცემენტი) მზიდი სატვირთო მანქანები, რომლებიც სამშენებლო ობიექტის გარე ტერიტორიაზე გადაადგილდებიან • მტვრის გამოყოფის შესამცირებლად, სამუშაოების მიმდინარეობის პერიმეტრზე ყველა მანქანისთვის დააწესოს სიჩქარის შეზღუდვები • განახორციელოს სამშენებლო მანქანების მოძრაობის კონტროლი 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ

		<ul style="list-style-type: none"> • რეგულარულად მოემსახუროს ყველა მანქანას, გამონაბოლქვის შემცირების მიზნით • უზრუნველყოს ნაგებობების, მექანიზმების და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება, გამონაბოლქვი აირების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. • სატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობა, რომელიც გამოსცემს კვამლს, არ დაიშვება და უნდა მოხდეს მათი შეკეთება, ან საპროექტო ტერიტორიიდან გაყვანა. 		
სამშენებლო ტექნიკა	ჰაერის ხარისხზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ავტომობილის გამონაბოლქვმა აირებმა და საწვავის წვამ.	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოს ფილტრაციის სისტემები, მტვერსაჭერები ან ჰაერის დამატენიანებლები ან სხვა ტექნიკა (საჭიროების შემთხვევაში) ციკლური მოქმედების ბეტონსარეგებისა და დანადგარებისთვის მტვრის გამოყოფის გაკონტროლების მიზნით, მათი მუშაობის ყველა ეტაპზე, მათ შორის ბეტონის შემვსების გადმოტვირთვის, შეგროვების, გადამუშავების, ცემენტის გადმოღვრის, ინსტალაციის შიგნით სატვირთო მანქანებისა და მოწყობილობების ცირკულაციის დროს. • გამოიყენოს ისეთი სამშენებლო აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებენ ემისიასთან დაკავშირებით არსებულ ეროვნულ სტანდარტებს. • შესაძლებლობის შემთხვევაში, უპირატესობა მიანიჭოს ელექტრო ძრავიან აღჭურვილობას, გაზზე, ან დიზელზე მომუშავე აღჭურვილობასთან შედარებით. • განახორციელოს სატრანსპორტო საშუალებების რეგულარული ტექნიკური მომსახურების და შეკეთების პროგრამა. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ
სამშენებლო საქმიანობა	მტვრის წარმოქმნა სამშენებლო ობიექტებზე, მასალების საწყობებზე და მისასვლელ გზებზე საზიანოა გარემოსთვის და შეიძლება საშიში იყოს ჯანმრთელობისთვის.	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მორწყას დასაწყობებული მასალა და მისასვლელი გზები, საჭიროებისამებრ, მტვრის გარემოზე პოტენციური ზემოქმედების შესამცირებლად. • უზრუნველყოს დაზიანებული ადგილების მაქსიმალურად მოკლე ვადებში აღდგენა მცენარეული საფარით/ბალახით. • მოაწყოს სამშენებლო მასალების შენახვის, შერევისა და დატვირთვისთვის შესაფერისი ადგილები იმგვარად, რომ თავიდან იქნას 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ

		აცილებული მტვრის გავრცელება ამგვარი მოქმედებების შედეგად.		
--	--	---	--	--

5) ხმაურისა და ვიბრაციის მართვა

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
სამშენებლო ავტომატანების მოძრაობა	ავტომატანების მოძრაობის გამო მოსალოდნელია ხმაურის გაძლიერება	კონტრაქტორი ვალდებულია: <ul style="list-style-type: none"> • შეინარჩუნოს ყველა მანქანა გამართულ მდგომარეობაში, მწარმოებლის ტექნიკური მომსახურების პროცედურების შესაბამისად. • უზრუნველყოს, რომ ყველა მძღოლმა დაიცავს მოძრაობის წესები, რომლებიც ეხება მაქსიმალურ სიჩქარეს, გადაადგილების საათებს და ა.შ. • მოახდინოს სატვირთო მანქანების დატვირთვისა და გადმოტვირთვის და დამუშავების ორგანიზება სამუშაო ობიექტზე სამშენებლო ხმაურის შემცირების მიზნით. • სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ობიექტის მიმართულებით და პირიქით, განახორციელოს დაგეგმილი, დადგენილი სამუშაო საათების განმავლობაში, თუ აღნიშნული სხვაგვარად არ არის დამტკიცებული მგფ-ს მიერ. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ
სამშენებლო ტექნიკა	ხმაურმა და ვიბრაციამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანებსა და ქონებაზე	კონტრაქტორი ვალდებულია: <ul style="list-style-type: none"> • ხმაურის გამომწვევი ყველა საქმიანობა აწარმოოს შესაფერის ადგილზე, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხმაურის არიდების მიზნით. • სამშენებლო სამუშაოების წარმოება დასახლებულ პუნქტებში მკაცრად აკრძალოს საღამოს 10 საათიდან დილით 7 საათამდე. • შეტყობინება სოციალური ობიექტების მიმართ, ისეთი ხმაურიანი სამუშაოების შესრულების პერიოდების შესახებ, როგორცაა მიწის სამუშაოები, გასცეს მაქსიმალურად ადრე-აღწეროს სამუშაოები და აღნიშნული სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მეზობლები უზრუნველყოს ინფორმაციით (სამუშაოების) მიმდინარეობის შესახებ. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ

		<ul style="list-style-type: none"> • ყველა მანქანა შეინარჩუნოს გამართულ მდგომარეობაში, მწარმოებლის ტექნიკური მომსახურების პროცედურების შესაბამისად. მოწყობილობების მომწოდებლებმა და კონტრაქტორებმა უნდა წარმოადგინონ მათი კუთვნილი მოწყობილობების ტექნიკური მომსახურების აღრიცხვის ჟურნალი. • უზრუნველყოს ტექნიკური მომსახურების ინსტრუმენტების, მექანიზმების და აღჭურვილობის კარგ მდგომარეობაში ყოფნა. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნული დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება, აღჭურვილობის ხმაურის შემცირების მიზნით. • შესაძლებლობის შემთხვევაში, სამუშაოებთან დაკავშირებული არცერთი სატვირთო მანქანა, არ იქნას მიტოვებული მომუშავე ძრავით - საცხოვრებელი ზონის მიმდებარე ქუჩაზე. • მუშები, რომლებიც მუშაობენ ისეთ ადგილებში, სადაც ხმაურის დონე აღემატება 85 დბ (ა)-ს, უზრუნველყოს ხმაურისაგან დამცავი კომპლექტით, როგორცაა მაგალითად ყურის საცობები, ხმაურის დამხშობი ყურსაცმები. 		
სამშენებლო საქმიანობა	ხმაურმა და ვიბრაციამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანებსა და ქონებაზე. სახიფათო საგზაო პირობები, იმ შემთხვევაში, როდესაც მშენებლობა დაბრკოლებას უქმნის არსებული გზებს.	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაგეგმოს ობიექტზე მიმდინარე საქმიანობები და მიწოდება და გატანა ზემოქმედების შემცირების მიზნით • აწარმოოს ხმაურისა და ვიბრაციის შედეგების მონიტორინგი და ანალიზი და, საჭიროებისამებრ, სიტუაციის მიხედვით შეცვალოს მშენებლობის მეთოდები • ვინაიდან სამუშაოები ძირითადად შესრულდება ღამის საათებში, ობიექტზე დაშვება და გასვლა უზრუნველყოს იმგვარად, რომ აარიდოს ხმაური ადგილობრივი მოსახლეობას. • აწარმოოს ხმაურის და ვიბრაციის მონიტორინგი ისეთი სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში, როდესაც ხდება მნიშვნელოვანი ვიბრაციის წარმოქმნა - მგგ-ს თვალთახედვით. • ვიბრაციით გამოწვეულ დაზიანებასთან დაკავშირებული საჩივრების მოგვარება მოახდინოს პროექტის საჩივრების მოგვარების მექანიზმის გამოყენებით. 	კონტრაქტორი კომპანია	მგგ

6) საგზაო ტრანსპორტისა და მოძრაობის მართვა

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა	სამშენებლო ტექნიკის საგზაო მიმოსვლა გავლენას მოახდენს ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასა და მომხმარებელთა უსაფრთხოებაზე.	კონტრაქტორი ვალდებულია: <ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოს ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა მშენებლობის დროს. • გზების სტრატეგიულ წერტილებზე მოაწყოს ნიშნები საქართველოს საგზაო მოძრაობის წესებში მითითებული ნიშნების განრიგის შესაბამისად. • უზრუნველყოს საინფორმაციო დაფების დაყენება და მომსახურება ყველა მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე, რომელიც გამოყენებული იქნება დიდი ზომის ტვირთის ტრანსპორტირებისას. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ
	ავარიები და საწვავისა და ქიმიკატების დაღვრა	კონტრაქტორი ვალდებულია: <ul style="list-style-type: none"> • შეძლებისდაგვარად, გზებზე გადაადგილება აწარმოოს არაპიკურ საათებში, საგზაო მოძრაობის შეფერხების შემცირების მიზნით. • შეიმუშაოს და დანერგოს უსაფრთხოების ზომები ავარიული დაღვრის ლოკალიზაციისთვის. • დანიშნოს სპეციალური მარშრუტები საშიში მასალების ტრანსპორტირებისთვის (საჭიროების შემთხვევაში). 	განხორციელება	მონიტორინგი

7) ბიომრავალფეროვნება (მდინარის ეკოლოგია და სანაპირო ზოლის ჰაბიტატები)

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
მდინარის ეკოლოგია	ზემოქმედება მდინარის ეკოლოგიასა და ბუნებრივ ჰაბიტატზე;	<ul style="list-style-type: none"> • კონტრაქტორმა უნდა დაიცვას პროექტირების ეტაპზე დასრულებული მდინარის ეკოლოგიის და ზემოქმედების შეფასების კვლევა, წარმოებული მდინარის ეკოლოგიური მგრძობელობის შესწავლის მიზნით - პროექტთან მიმართებაში; (კონტრაქტორმა) უნდა შეაფასოს ზემოქმედების მასშტაბი და მოახდინოს სავარაუდო შემარბილებელი ღონისძიებების შემოთავაზება. 	კონტრაქტორი კომპანია	მგფ

	<p>მდინარის კალაპოტის დაბინძურების ზრდა;</p> <p>მდინარის დეგრადაცია და შემთხვევითი დაღვრები;</p> <p>დატბორვის რისკი;</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივ ჰაბიტატზე უმნიშვნელო ნარჩენი ზემოქმედების შესარბილებლად, აუცილებელია ჰაბიტატის აღდგენა - მდინარის ნაპირების გასწვრივ; • დაუშვებელია ნებისმიერი სამშენებლო, ან მშენებლობასთან დაკავშირებული ნარჩენების გადაყრა მდინარის კალაპოტში; • (მასალების) სასაწყობე ადგილები უნდა მოეწყოს მდინარის ნაპირებიდან მოშორებით, მდინარის შემდგომი დეგრადირების და მდინარეში შემთხვევითი დაღვრების პრევენციის მიზნით. შერჩეული ადგილის დატბორვის რისკი უნდა იყოს მინიმალური და შესაბამისად, მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს მდინარის ნაკადის მაქსიმალურ დონეს; • საწვავი, ზეთი და ქიმიური პრეპარატები განთავსდება ჰერმეტიკულად დახურულ და დამბით დაცულ სასაწყობე ტერიტორიაზე და/ან მეტალის წვეთშემკრებ ქვესადგამზე, დასაწყობებელი მოცულობის 110%-ის ტევადობით; • საწვავით შევსება უნდა მოხდეს მდინარიდან მინიმუმ 50 მ დისტანციაზე და მდინარეში შესვლამდე სატრანსპორტო საშუალებები რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს გაჟონვაზე. 		
--	--	---	--	--

8) სამშენებლო ბანაკის მართვა

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	სამშენებლო ბანაკები მნიშვნელოვანი ადგილებია, რომლებსაც სერიოზული გავლენა აქვთ, მაგალითად, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით ადგილობრივ რესურსებსა და ახლომდებარე თემების ინფრასტრუქტურაზე.	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაოების დაწყებამდე, მოახდინოს სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება და საპროექტო ობიექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი, რათა არ მოხდეს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი, ან სოციალური პრობლემური საკითხების წარმოქმნა, საპროექტო ტერიტორიის გამოყენების შედეგად; • სამშენებლო ბანაკის განთავსება არ უნდა მოხდეს დასახლებული ტერიტორიიდან 500 მეტრში და 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

		<p>მანძილი ნებისმიერი ზედაპირული წყლის ობიექტიდან უნდა შეადგენდეს მინიმუმ 50 მეტრს.</p>		
<p>სამშენებლო ბანაკების ობიექტები</p>	<p>ადეკვატური ინფრასტრუქტურული ობიექტების არარსებობა, როგორცაა საცხოვრებელი ფართი, წყალმომარაგება და სანიტარია, გაზრდის ადგილობრივ სერვისების დატვირთვას, რაც ცხოვრების ხარისხის გაუარესებას გამოიწვევს, ასევე შექმნის ჯანმრთელობის რისკებს.</p>	<p>კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი: სამშენებლო ბანაკების საყოფაცხოვრებო კეთილმოწყობა</p> <ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხო და საიმედო წყალმომარაგება. • სანიტარული და ჰიგიენური საშუალებები და კანალიზაცია. • საპირფარეშო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები • საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი წვიმის წყლის ჭარბი ჩამონადენი უნდა შეგროვდეს და მოცილებულ იქნას ტერიტორიიდან, შესაბამისად დაპროექტებული დროებითი სადრენაჟე სისტემის გამოყენებით; დაცლა უნდა მოხდეს ისეთ ადგილას და ისეთი სახით, რომ არ მოხდეს დაბინძურების, ან უსიამოვნების ინიცირება. სადრენაჟე სისტემა აღჭურვილი იქნება ზეთის და საპოხი მასალების კოლექტორებით; • სანიტარული (საყოფაცხოვრებო მოხმარების), ან სარეცხი წყალი ზედაპირულ წყალში პირდაპირ არ დაიცლება; • სამრეცხაო თხრილის, ან ბორბლების რეცხვის პუნქტის, და/ან სატრანსპორტო საშუალებების გამწმენდი პუნქტის მოწყობა (უზრუნველყოფა) ობიექტების გასასვლელებში; • ყველა სატრანსპორტო საშუალების სათანადოდ გაწმენდა (სატრანსპორტო საშუალების კორპუსზე და საბურავებზე არ უნდა იყოს ქვიშა და ტალახი), საპროექტო ტერიტორიების დატოვებამდე; • აუცილებელი გამწმენდი პუნქტების მოწყობა საპროექტო ტერიტორიაზე; შესაბამისი გაწმენდითი საშუალების შედეგად არ უნდა მოხდეს წყლის, ან ნარჩენების გატანა სხვა ტერიტორიაზე; • მოახდინეთ სამშენებლო ბანაკების რეგულარული მონიტორინგი, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმასთან (SEMP) და სამშენებლო ბანაკის სიტუაციურ გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; • სამშენებლო ბანაკების და მუშების სასმელი წყალი უნდა აკმაყოფილებდეს წყლის ხარისხის აუცილებელ სტანდარტებს, განსაზღვრულს საქართველოს მთავრობის მიერ. გრუნტის წყლის 	<p>კონტრაქტორი კომპანია</p>	<p>მგფ</p>

		<p>გამოყენების შემთხვევაში, წყალი უნდა დაექვემდებაროს ყოველკვირეულ შემოწმებას, რაც უზრუნველყოფს წყლის ხარისხის შესაბამისობას საქართველოს მთავრობის მიერ სასმელი წლისთვის დადგენილ სტანდარტებთან;</p> <ul style="list-style-type: none"> სამშენებლო ბანაკების ტერიტორიების მოვლა-პატრონობის და დასუფთავების უზრუნველყოფა და ადგილობრივი მიწის მფლობელების უფლებების პატივისცემა. გასხვისების ზოლის საზღვრებს გარეთ განთავსების შემთხვევაში, საჭირო იქნება წერილობითი თანხმობის მიღება ადგილობრივი მიწის მფლობელებისგან - საკუთრების დროებითი გამოყენებისთვის და აღნიშნული ტერიტორიები უნდა აღდგეს მფლობელისთვის მისაღებ დონემდე, წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში. 		
ნარჩენების განკარგვა	ნარჩენების მართვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად.	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> უზრუნველყოს მყარი ნარჩენების სათანადო შეგროვება და უტილიზაცია სამშენებლო ბანაკებში. ყველა მყარი ნარჩენი უნდა შეგროვდეს და გატანილ იქნეს სამშენებლო ბანაკებიდან ნარჩენების შესაკრებ ნებადართულ ადგილზე. 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ
ჯანმრთელობა და ჰიგიენა	მუშების ჯანმრთელობის პრობლემებმა შეიძლება გამოიწვიოს დაავადების გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში ან ტვირთად დააწვეს ადგილობრივ ჯანდაცვის სისტემას	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> უზრუნველყოს სათანადო სამედიცინო მომსახურება სამშენებლო ობიექტებზე. უზრუნველყოს 24-საათიანი პირველადი სამედიცინო დახმარების მომსახურება. ობიექტზე ჰქონდეს მედიკამენტების მარაგი და დანიშნოს პირველადი დახმარების აღმომჩენი სპეციალისტი ან ექთანი სრულ განაკვეთზე. 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ
უსაფრთხოება	სამშენებლო ბანაკებში უსაფრთხოების არასათანადო პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები და შექმნას ხანძრის საფრთხეები.	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> უზრუნველყოს შესაბამისი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა, რომელიც შესაფერისია სამშენებლო ბანაკებისთვის. საგანგებო სიტუაციების ტელეფონის ნომრები თვალსაჩინოდ განათავსოს ბანაკის სტრატეგიულ ადგილებში 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

9) ყრილის (დამუშავებული კლდის რეზერვის) ტერიტორიის აღდგენა

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
ყრილის (დამუშავებული კლდის რეზევის) მოსწორება	მნიშვნელოვანია საპროექტო ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შემოღობვის მოწყობით და მისი დაცვა მტვრისგან, შესაბამისი ტერიტორიის ზედაპირზე დათესვის განხორციელებით	<ul style="list-style-type: none"> • საპროექტო ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შესვლის შეზღუდვა; • აუცილებელია გამწვანება, რაც მოიცავს ტერიტორიის დაფარვას (10 სმ სისქის) კარიერის გრუნტით და ხელახალ დათესვას, ჰიდრო თესვის ტექნოლოგიის გამოყენებით, საჭიროებისამებრ, მტვრის თავიდან აცილების მიზნით; • ყრილის მოსწორებული ზედაპირი უნდა დაიფაროს განოყიერებული ნიადაგით და ბალახი მოეწყობა წყლით თესვის ტექნოლოგიის გამოყენებით; • ბალახი უნდა დაითესოს დაახლოებით 28,000 კვ. მ ტერიტორიაზე, მიმდებარე ტერიტორიის დამტვერვის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; • შესწავლილ უნდა იქნას არსებული საპროექტო მიწის მიმდებარე დამატებითი მიწის გამოყენება, ყრილის საერთო სიმაღლის შემცირების მიზნით; • (ჯანმრთელობის და უსაფრთხოების თვალსაზრისით) სახიფათო მონაკვეთების შემოღობვა უნდა მოხდეს არმატურის ბადით, ჩამოვარდნის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

10) პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
მოწინავე მეთოდები	სამშენებლო სამუშაოებმა შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს ადგილობრივი მოსახლეობის, მშენებლობაზე დასაქმებულ მუშებისა და ობიექტის სტრუქტურის ჯანმრთელობა და	<p>კონტრაქტორი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო. • მოამზადოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გეგმა (HSP) და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა (ERP), კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებასთან მიმართებაში, აგბ-ს მოთხოვნების შესაბამისად; 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

	<p>უსაფრთხოება, რაც შეიძლება სერიოზული ტრავმების ან სიკვდილის მიზეზი გახდეს.</p>	<ul style="list-style-type: none"> პერსონალი უზრუნველყოს პირადი დაცვის საშუალებებით (პდს), როგორცაა დამცავი ფეხსაცმელი, ჩაფხუტები, ნიღბები, ხელთათმანები, დამცავი ტანსაცმელი, სათვალე, სახის დამცავი ფარი და ყურის დაცვა. სათანადოდ მოუაროს პდს-ს. უსაფრთხოების პროცედურები მოიცავს სახიფათო სამუშაოებში ჩართული პერსონალის ინფორმირებას, გაწვრთნასა და დამცავი ტანსაცმლით უზრუნველყოფას და მათი სამუშაოს სათანადოდ შესრულებას. ყველა მუშა ვალდებულია, რომ დაესწროს პროფესიული უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს, სამუშაო ტერიტორიაზე შესვლის უფლების მიღებამდე; პერსონალის ყველა წევრი, რომელიც მუშაობს მდინარესთან, ან მდინარის ზემოთ, უზრუნველყოფილი იქნება მაშველი ჟილეტით; დანიშნოს გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც გააკონტროლებს მშრომელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. ყველა მუშას ექნება კონტრაქტი, რომელშიც მოცემული იქნება მათი სამუშაო აღწერილობა და სამუშაო პირობები, განიმარტება შინაარსი. 		
<p>უბედური შემთხვევები</p>	<p>უშუალო სიახლოვეს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პუნქტებისა და სამედიცინო დაწესებულებების არარსებობა დაამძიმებს დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას.</p>	<p>კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> სამუშაო ადგილზე და სამშენებლო მოედანზე სათანადოდ აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტებისა და სამედიცინო დაწესებულებების ხელმისაწვდომობა. უსაფრთხოების ყველა სახის აღჭურვილობის (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის), ხარაჩოების, მოაჯირების, სამუშაო პლატფორმების, აძწე მოწყობილობების, კიბეების და მისასვლელი, ასაწევი, განათების, ნიშნების და დამცავი აღჭურვილობის სხვა საშუალებების რეგულარული ინსპექტირება, გამოცდა (შემოწმება) და მოვლა-პატრონობა. იმ ადგილების მონიშვნა, სადაც არსებობს რამის ჩამოვარდნით განპირობებული დაზიანების რისკი; მონიშვნა უნდა მოხდეს თოკის, ან დროშის გამოყენებით, რისკების და დაზიანებების მინიმუმამდე შემცირების მიზნით; სამუშაოების წარმოების ყველა ობიექტზე უზრუნველყოფილი იქნება პირველადი 	<p>განხორციელება</p>	<p>მონიტორინგი</p>

		<p>დახმარების კომპლექტი (შემდეგი სტანდარტის შესაბამისად: პროფესიული უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ადმინისტრირება (OSHA), 1910. 266, დანართი „ა“);</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორც ტრენინგის ჩანაწერების, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით მომხდარი ინციდენტების, მათ შორის, შესაძლო სახიფათო სიტუაციების ამსახველი ჟურნალის წარმოება; • სამუშაოების შესრულების პროცესში ან მის შედეგად წარმოქმნილი უბედური შემთხვევების, ტრავმებისა და დაავადებების პრევენცია საფრთხეების გამომწვევი მიზეზების მინიმალიზაციის გზით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. მეთოდებით, რომლებიც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო სამრეწველო პრაქტიკას. 		
წყალმომარაგება და კანალიზაცია სამშენებლო ობიექტებზე	სამშენებლო ობიექტებზე საკანალიზაციო სისტემების ნაკლებობა დისკომფორტს უქმნის მშენებლობაზე დასაქმებულ პერსონალს და უარყოფითად მოქმედებს მათ პირად ჰიგიენაზე.	<p>კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მობილური საპირფარეშოები და სასმელი წყლის მომარაგება სამშენებლო ობიექტებზე. ეს მობილური საპირფარეშოები უნდა გაიწმინდოს დღეში ერთხელ, ხოლო ყველა ჩამდინარე წყალი დღეში ერთხელ უნდა გამოიტუმბოს შემკრები ავზიდან და გადატანილ იქნას საკანალიზაციო სალექარის ქვედა კამერაში შემდგომი გადამუშავებისთვის. 	განხორციელება	მონიტორინგი

11) საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ ზემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
კონსულტაციები	მიმდინარე სამუშაოებმა შეიძლება გამოიწვიოს (აღნიშნული) სამუშაოების წარმოების სიახლოვეს მაცხოვრებელი ან შესაბამისი ტერიტორიის მომხმარებელი საზოგადოების დისკომფორტი	<ul style="list-style-type: none"> • კონსულტაციები გაიმართება მეზობელი მიწის და გზის მომხმარებლებთან, რაც მოიცავს მათთან შეთანხმებას, აღნიშნული ტერიტორიების, გზების გამოყენების მიზნით; • პროექტი რეგულარულად განიხილავს საზოგადოების ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებს და გამართავს კონსულტაციებს ადგილობრივ თემებთან ყოველ ექვს თვეში ერთხელ, მიაწოდებს რა მათ ინფორმაციას (პროექტის) განხორციელების სტატუსის და 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

		შედეგების შესახებ და განიხილავს ყველა ცვლილებას, რომლის განხორციელების საჭიროებაც არსებობს დაბინძურების პრევენციის გეგმასა, თუ საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გეგმაში, შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელებამდე.		
საგზაო შემთხვევები	საგზაო მოძრაობის მართვის გეგმა და უსაფრთხო ტრანსპორტირება	<ul style="list-style-type: none"> • საგზაო მოძრაობის დროებითი კონტროლის ზომები გამოყენებული იქნება გზის გადასასვლელებზე და გზაჯვარედინებზე (მესიგნალები, დროებითი შუქნიშნები), სადაც უსაფრთხოების რისკის შეფასების შედეგად დადგინდება, რომ სატრანსპორტო მოძრაობის კონტროლის ზომები შეამცირებს საგზაო შემთხვევების რისკს; • სატრანსპორტო მოძრაობის დროებითი კონტროლი (მაგ. მესიგნალები) და ნიშნები უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ადგილებში, უსაფრთხოების გაუმჯობესების და მიმართულებების ჩვენების მიზნით; • საწვავის, ან სახიფათო სითხეების გადამტანი სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი იქნება დაღვრილი სითხის შემკრები შესაბამისი კომპლექტით, რაც იძლევა პირველადი რეაგირების შესაძლებლობას, დაღვრის შემთხვევაში. 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ
საზოგადოების ჩართულობა	საჩივრების ყუთი	<ul style="list-style-type: none"> • საჩივრების პროცედურის განხორციელება, რაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს მისცემს უკმაყოფილების გამოხატვის შესაძლებლობას. 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

12) მისასვლელი

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა/ შემოქმედების წყარო	გარემოზე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიებები / მართვა	განხორციელება	მონიტორინგი
გზის მდგომარეობა	პროექტის განხორციელების დროს გამოყენებული ყველა მისასვლელი გზა უნდა აღდგეს მშენებლობის დაწყებამდე არსებულ, ან უკეთეს მდგომარეობამდე	<ul style="list-style-type: none"> • მშენებლობის დაწყებამდე მოხდება ყველა გზის მდგომარეობის შესწავლა, სამშენებლო ეტაპზე ინტენსიური მძიმე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შედეგად გზის დაზიანების შეფასების მიზნით. პროექტის დასრულებამდე უნდა მოხდეს აღნიშნული კვლევის გამეორება, რათა განისაზღვროს, თუ რომელი გზა, ასეთი გზის 	კონტრაქტორი კომპანია	მგვ

		გამოვლენის შემთხვევაში, საჭიროებს შეკეთებას კონტრაქტორის მიერ.		
საერთო მისასვლელი	დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოს ინფორმაცია, ზემოთხსენებული სამუშაოების განხორციელებამდე	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების აღწერილობის, გრაფიკის და მოსალოდნელი დარღვევებისა და შესვლის შეზღუდვის შესახებ, მინიმუმ 24 საათით ადრე; • სამშენებლო არელების გარშემო შესაბამისი სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, (მარშრუტის მიმართულების) ცვლილებით, ან დროებითი მისასვლელი გზების გამოყენებით; • შესაბამისი საგზაო ნიშნების, განათების, კარგად დაპროექტებული საგზაო უსაფრთხოების ნიშნების, ბარიერების და მესიგნალების უზრუნველყოფა, საგზაო მოძრაობის კონტროლის მიზნით. 		